ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო

უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება -ფინანსები

დავით ლაზაშვილი.

თანამედროვე საბანკო პროდუქტების და ტექნოლოგიებისროლი საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებაში

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულიაბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია ბერიძე, ბიზნესის მართვის დოქტორი

ხიჭაური 2019

ანოტაცია

XXI საუკუნეში საბანკო სფერო განვითარების პიკს აღწევს . დღითიდღე მატულობს კონკურენცია საბანკო საქმიანობაში, ამის შედეგად ბანკები ცდილობენ მოიზიდონ პოტენციური მომხმარებლები ინოვაციური ტექნოლოგიების და ახლი საბანკო პროდუქტებისგამოყენებით.თემის აქტუალურობა გამოიხატებაახალი ტექნოლოგიების დანერგვის პერსპექტივასა და საბანკო სფეროს განვითარებაში. მიზანი ის არის რომსაბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები ეფექტიანად უნდა გამოიყენებოდეს ბანკების და მომხმრებლების მიერ. ამოცანა კი იმაში მდგომარეობს რომ თუ როგორ მოიზიდოს ინოვაციურმა პროდუქტმა პოტენციური მომხმარებლები და რა შედეგი ექნება ინოვაციურ პროდუქტს გარკვეული პერიოდის შემდეგ. ეს შედეგი დადებითად თუ უარყოფითდ აისახება ბანკსა და ბანკის მომხმარებელთა რაოდენობაზე. რაც შეეხება სიახლეს: ინოვაცია საბანკოსფეროში ყოველთვის ასოცირდება დროის ეკონომიასთან, ხოლო რაც შეეხება დროს : „დრო ფულია“ როგორც ბენჯამინ ფრანკლინმა თქვა. აქედან გამომდინარე თითოეული ინოვაციური ტექნოლოგია უნდა იქნეს გამოყენებული ეფექტიანად და მიზანმიმართულად.

In the XXI century the banking sector reaches its peak of development.As a result, banks are trying to attract potential customers with innovative technologies and new banking products.Topicity of the topic is expressed in the development of new technologies and the development of banking sphere.The objective is that banking technologies and products should be efficiently used by banks and consumers.The task is to find out how innovative products attract potential customers and what effect will the innovative product after a certain period of time.This result positively or negatively affects the number of banks and bank customers.As for the novelt

innovation in the banking sector is always characterized by time-saving, and as for the time: "Time is money" Benjamin Franklin said.Therefore, each innovative technology should be utilized efficiently and deliberately.

სარჩევი

შესავალი.....

Iთავი- საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ერთგვარი ეტაპები

1.1ევროპის და აშშს საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ისტორია.....

1.2.საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ისტორია.....

II თავი-საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები

2.1 საბანკო პროდუქტების, მომსახურების და ტექნოლოგიების განვითების ისტორია .....

2.2 ინოვაციური საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტების როლი

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებაში.....

დასკვნა.....

გამოყენებული ლიტერატურა.....

შესავალი

დღესდღეობით ერთერთი განვითარებადი და რენტაბელური ფინასური საქმიანობა არის საბანკო სფერო. საბანკო სფეროს ისტორია დაბამს იღებს ევროპიდან კონკრეტულად კი იტალიიდან.დროთა განმავლობაში სბანკო სისტემა იხვეწებოდა. ამას თან მოყვა საბანკო პროდუქტების წარმოშობა და განვითრება. დროთა განმავლობაში საბანკო საქმიანობა გახდა რეგულირებადი ანუ შეიქმნა კანონი რომელიც ბანკებს აძლევდა მხოლოდ კანონის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების უფლებას. ასევე არ უნდა ვუგულებელვყოთ ეროვნული ბანკის როლი საბანკო სისტემის განვითარებაში. XX საუკუნის 90 იანი წლებიდან დიდი ყურადგება დაუთმეს კომერციულმა ბანკებმა საკუთარი პროდუქტის განვითარებას და ახალი პროდუქტის შექმნას.ეს ყურადღება ძირითადად გამოწვეული იყო მსოფლიოში ინტერნეტის გავრცელების შედეგად და არამარტო ინერნეტი იყო ამის მიზეზი. თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ მეორე მიზეზი არის ტექნოლოგიების ულტრა თანამედროვე დონეზე გადასვლა. XXI საუკუნეში კომერციული ბანკებს შორის იზრდება კონკურენცია.ამის შედეგად ბანკები ცდილობენ რომ შექმნან ახალი პროდუქტები და გამოიყენონ ეს პროდუქტები ტექნოლოგიების მეშევობით. ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვა არამხოლოდ კომერციული ბანკისთვის უნდა იყოს სარგებლის მომტანი.ყოველვის უნდა მოისაზრებოდეს საზოგადოების კეთილდღეობას.

I თავი

საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ერთგვარი ეტაპები

1.1 ევროპისა და აშშს საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ისტორია

ბანკი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში, რადგან მას აქვს ფინანსური სისტემის მშენებლობის როლი, რომელიც საზოგადოების ყველა ასპექტს. საბანკო საქმიანობის ისტორია ჯერ კიდევ ჩვწ. VII საუკუნეში იწყება. მიჩნეულია რომ იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არსებობდნენ მევახშეები. ცნობილია რომ ძველ საბერძნეთში იყვნენ ტრაპეზიტები, რომლებიც ახორციელებდნენ მონეტების გაცვლას და ადამიანებისგან იღებდნენ ფულს ანაბრების სახით. ჩვწ. II საუკუნიდან ასრებობდა სამეფო ბანკები იმდროინდელ მეგაპოლისებში როგორიცაა, თებე, მემფისი და სიენა. სამეფო ბანკებში ინახებოდა საგადასახადო მოსაკრებლიდან შემოსული ფულადი სახსრები და სახელმწიფოს ხელში არსებული ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები. ძველ რომში საბანკო საქმიანობის განმხორციელებელ პირს მენასრს (mensarii) და აგრენტარს (agrentarii) ეძახდნენ.ისინი ახორციელებდნენ ისეთ საბანკო ოპერაციებს როგორიცაა: მონეტების გაცვლა, სეხების გაცემა,ანაბრების მიღება და ქალაქებს შორის ფულადი გადარიცხვები. შუა საუკუნეებში კი საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბრუნვაში ძალიან ბევრი სახეობის მონეტა იყო იმ პერიოდისთვის და საჭირო გახდა რომ გადაცვლილიყო მომეტები ერთმანეთში. სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა სიტყვა ბანკი (banco - მერხი ,დახლი). საბანკო სისტემა დროთა განმავლობაში განვითარება ჰპოვა და უკვე ოცდამეერთე საუკუნეში კომერციული ბანკები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფუნქციონირებენ საბანკო სექტორში.[1]

საბანკო საქმის ისტორიაში ერთერთი მნიშვნელოვანი ბანკი არის Monte dei Paschi di Siena -მსოფლიოში უძველესი ბანკი რომელიც, დაარსდა 1472 წელს

ქალაქ-სახწლმწიფო გენუას ხელისუფლების მიერ. ბანკის დაარსების ძირითადი მიზეზი იყო ფულის დაკრედიტება დაბალ პროცენტში. ბოლო ასწლეულების განმავლობაში ბანკმა განიცადა მთელი რიგი რეორგანიზებისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ხდება სიდიდით მეორე შემნახველი ფულადი სახსრების ფინასური ინსტიტუტი. იტალიის მასშტაბით მისი ფილიალები განაწილებულია 20 სხვადასხვა ქალაქში. ბოლო ასწლეულის განმავლობაში ბანკი ვითარდებოდა და წვლილი მიუძღვოდა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. ეს არ იყო მხოლოდ ერთადერთი ბანკი რომელმაც წვლილი შეიტანა საბანკო სექტორის განვითარებაში. მიმოვიხილოთ ევროპის ქვეყნების პირველი ბანკების დაარსების ისტორია.[2]

Berenberg Bank -დაარსებული 1590 წელს ძმები ჰანს და პაულ ბერენბერგების მიერ რომლების ვაჭრობდნენ ტანსაცმლით.ასევე იყვნენ ექსპორტ-იმპორტის საქმიანობით დაკავებული რომელიც დაემთხვა ქალაქ ჰამბურგის აყვავების პერიოდს.დღეს კი ბერენბერგის ბანკი არის გერმანიის ყველაზე ძველი კომერციული ბანკი რომელიც ფილიალებს ფლობს ევროპის მასშტაბით.[3]

riksbank ანუ შვედეთის ბანკი, რომელმაც საბანკო საქმიანობა 1668 წელს დაიწყო. ის დაარსა იოჰან პელმსტრაჩმა 1656 წელს.მე-19 საუკუნეში რიკსბანკი იყო დომინანტი დაკრედიტების დაფულის ემისიის მხრივ.ასევე ის აკონტროლებდა ეროვნულ სავაჭრო გარიგებებს და გასცემდა კრედიტებს ფართო საზოგადოებაზე.რიკს ბანკმა მოგვიანებით შეიძინა ცენტრალური ბანკის სტატუსი. ის არის ყველაზე ძველი ფუნქციონირებადი ბანკი მსოფლიოში. მან სახელი შეიძინა სიტყვა რიკსტაგისგან(რიკსტაგი-შვედეთის პარლამენტი).[4] ინგლისის ყველაზე ძველ ბანკად ითვლება Hoare & Co ბანკი რომელიც დაარსა რიჩარდ ჰოარემ 1672 წელს. ბანკის ძირითადი საქმიანობა იყო, სესხების გაცემა და ანაბრების მიღება. [5]

კომერციული ბანკების საქმიანობა იმ პერიოდში უკონტროლო იყო, რაც ბანკების მიერ ფულის ემისიას გულისხმობდა. ეს არ იყო მხოლოდ ერთადერთი მიზეზი იმის აუცილებლობისა რომ საბანკო სექტორში დანერგილიყო ორიარუსიანი სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა ცენტრალური ბანკების წარმოშობას და მათ განვითარებას.

ტერმინი„ცენტრალურიბანკი“ წარმოიშვა XIX საუკუნეში.ამ პერიოდისთვის ცენტრალურ ბანკებად მოიხსენიებოდა ისეთი ბანკები რომლებიც მდებარეობდა დიდ ქალაქებში და ფლობდნენ ფილიალებს ამ საზღვრებს გარეთ. 1834 წელს შოტლანდიის ბანკი ჩამოყალიბდა, ხოლო 1891 წელს ლონდონის ცენტრალურიბანკი. საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მიჩნეულია რომ ცენტრალური ბანკის მიზანია: ფასების სტაბილიზაცია, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნება და ფინასური სტაბილურობა.[6]

ისტორიული მიზეზი ცენტრალური ბანკების წარმოშობისა მდგომარეობს შემდეგში: კრედიტორები რომლებიც აფინანსირებდნენ სამხედრო სექტორს ამის სანაცვლოდ ღებულობდნენ სახელმწიფოსგან რიგ პრივილეგიებს, მათ შორის კი იყო მონოპოლია ფულის ემისიასთან დაკავშირებით. პირველი ცენტრალური ბანკი შიექმნა 1668 წელს შვედეთში რიკსბანკის სახელწოდებით.ის ითვლება ყველაზე ძველ და ახლაც მოქმედ ცენტრალურ ბანკად მსოფლიოში.1969 წელს ბანკს მიღებული აქვს ნობელის პრემია ეკონომიკის სფეროში.[7]

ინგლისის ბანკი. ბრიტანეთის საზოგადო-სამართლის ინსტიტუტი და გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ბანკის ფუნქციების შემსრულებელი.

ბანკი დაარსდა 1694 წელს და მას ჰქონდა კომერციული ბანკის სტატუსი.ინგლისის ბანკი ყველა იმ ფუნქციას ასრულებს რაც ცენტრალურ ბანკს შეესაბამება: ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის და მსყიდველობითი უნარიანობის შენარჩუნება. ამ მიზნების მისაღწევად ტარდება შესაბამისის პოლიტიკა საპროცენტო განაკვეთის მიმართ რომელიც განისაზღვრება მთავრობის მიერ,ისევე როგორც ეროვნული ბანკის მიერ. ასევე მსოფლიოსა და ბრიტანეთის საფინანსო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება.[8]

ესპანეთის ბანკი ანუ ცენტრალური ბანკი რომელიც დაარსა მადრიდში 1782 წელს კარლოს მესამემ. საომარი მოქმედებების შემდეგ (1793-1814 წწ) ბანკმა მთავრობისგან ისესხა 300 მილიონზე მეტი რეალი,მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმპრეიოდისთვის არ იყო დამაკმაყოფილებელი მთავრობის ფინანსური მდგომარეობა. 1850იან წლებში ბანკმა გააფართოვა საქმიანობის არეალი და გახსნა ფილიალები ალიკანტესა და ვალენსიაში. თავდაპირველად ესპანეთის ბანკი დაარსდა *Banco Nacional de San Carlos*ის სახელწოდებით, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიცვალა სახელწოდება და დაერქვა ესპანეთის ბანკი. 1874 წელს ესპანეთის მთავრობამ ცენტრალურ ბანკს მისცა სპეციალური უფლება ემისიაზე, სანაცვლოდ კი ის მიიღებდა ბანკისგან ფინანსურ დახმარებას საომარი მოქმედებების დროს.1962 წელს ესპანეთის ბანკმა უკვე ოფიციალური ცენტრალური ბანკის სტატუსი მიიღო. ეს კი იმას ნიშნავდა რომ ბანკმა გაატარა რეფორმები და დაისახა მიზნები.ესპანეთი 1994 წელს შევიდა ევროპის სავალუტო კავშირში,ხოლო ამის შედეგად ის ხდება ევროპის ცენტრალური საბანკო სისტემის წევრი.[9]

საფრანგეთის ბანკი - საფრანგეთის ცენტრალური ბანკი რომელიც დაარსდა 1800 წელს ნაპოლეონ ბონაპარტეს ბარძანებით. ბანკი ფლობს შტაბ-ბინას პარიზში. 1808 წლიდან ბანკნოტები ხდება ოფიციალური საგადამხდელო

საშუალება და უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ფართოვდება ბანკის საქმიანობის არეალი. მეოცე საუკუნის ბოლოს ბანკი ხდება დამოუკიდებელი ფინანსური ინსტიტუტი, რომლის მთავარი მიზანი ხდება ფასების სტაბილიზაცია ქვეყანაში. 1998 წელს საფრანგეთის ბანკი ხდება ევროპის ცენტრალური ბანკების კავშირის წევრი. [10]

ფინეთის ცენტრალური ბანკი დაარსა ალექსანდრე პირველმა 1811 წლის 1 მარტს. ერთი თვის შემდეგ დედაქალაქად გამოცხადდა ქალაქი ჰელსინბორგი. დაიწყო დედაქალაქის რეკონსტრუქცია და გარკვეული პერიოდის შემდეგ დედაქალაქში გადაინაცვლა ყველა ძირითადმა დაწესებულებებმა და მათ შორის ცენტრალურმა ბანკმა. 1840 დან 1890 წლების ჩათვლით ფინეთის ბანკმა გაიარა უმნიშვნელოვანესი პერიოდი რომ მიეღო ოფიციალური ცენტრალური ბანკის სტატუსი. 1860 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბრძანებით შემოვიდა მიმოქცევაში ფინური მარკა. დღესდღეობით ფინეთის ცენტრალური ბანკი არსულებს 4 მთავარ ფუნქციას: ახორციელებს ფულლად-საკრედიტო პოლიტიკას და აწარმოებს გამოკველვას,ახორციელებს საბანკო ოპერაციებს, ახორციელებს ფინასური სისტემის საერთო კონტროლს და მხარს უჭერს ნაღდი ფულის მოძრაობას ქვეყანაში.[11]

ნორვეგიის ცენტრალური ბანკი. 1695 წელს პირველად ჩაეშვა მიმოქცევაში ნორვეგიული ბანკნოტა რომელიც ითვლებოდა კანონიერი გადახდის საშუალებად. 1736 წელს დაარსდა დანიურ-ნორვეგიული ბანკი რომელიც იყო სამეფო ხელისუფლების დაქვმედებარების ქვეშ და აქედან გამომდინარე ხელისუფლებამ მისცა ბანკს ემიის განხორციელების უფლება. 1745 წელს ბანკი აღარ ახორციელებდა ბანკნოტის ვერცხლზე გაცვლის ოპერაციებს. მოგვიანებით კი 1813 წელს დაასრდა რიკსბანკი რომელსაც მიენიჭა ფულის ემისიის უფლება, ხოლო 1816 წლის 14 ივნისს პარლამენტმა მიიღო აქტი ნორვეგიის ბანკის დაარსების შესახებ. ბანკმა 1817 წელს დაიწყო ოფიციალურად ოპერაციების შესრულება.[12]

დანიის ეროვნული ბანკი-დანიის სამეფოს ცენტრალური ბანკი, რომელიც არის ევროპის ცენტრალური ბანკთა სისტემის კავშირის წევრი მაგარმ, არ შედის ევროზონაში. ბანკი ახორციელებს ქვეყნის ეროვნული ვალუტიის დანიური კრონის ემისიას. დანიის ეროვნული ბანკის მიზანია ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ბანკი ახორციელებს ყველა ფუნქციას რომელიც უკავშირდება დანიის სახელმწიფო ვალს. პასუხიმგებლობა ნაწილდება შეთანხმების მიხედვით ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის. დანიის ბანკი დაარსა 1818 წლის 1 აგვისტოს ფრედერიკ მეექვსემ. ბანკი ფლობდა 90 წლიან მონოპოლიას სავალუტო ოპერაციებზე და მხოლოდ 1936 წელს ბანკი გათავისუფლდა სახელმწიფო კონტროლისგან და გახდა დამოუკიდებელი ფინასური ინსტიტუტი.[13]

ცენტრალური ბანკების წარმოშობამ და განვითრებამ ხელი შეუწყო კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირებას და კონტროლს. კომერციული ბანკი თითქმის უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყანაში ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებდა, რის შედეგადავ ხდებოდა სამომხამრებლო ფასების სტაბილირება და ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება სხვა ვალუტასთან მიმართებაში. აღსანიშნავია რომ რადიკალურად განსხვავდება აშშს საბანკო სისტემის და ჩამოყალიბება ევროპის ქვეყნების საბანკო სისტემების ჩამოყალიბება ერთმანეთისანგან.

1913 წლის 23 დეკემბერს სპეციალურად შეიქმნა დამოუკიდებელი ფედერალური სააგენტო რომელის ასრულებდა ცენტრალური ბანკის ფუნქციებს და აკონტროლებდა ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ბანკების საქმიანობას. ფსსში (ფედერალურ სარეზერვო სისტემა) ერთიანდება 12 ფედერალური სარეზერვო ბანკი რომლებიც მდებარეობს მსხვილ ქალქებში,ასევე დაახლოებით 3000 კომერციული ბანკი, პრეზიდენტის მიერ დანიშნული მმრთველთა საბჭო, საკონსულტაციო საბჭო და ფედერალური კომიტეტი რომელიც მეთვალყურეობს კომერციული ბანკების ოპერაციებს ღია ბაზარზე.

აქედან გამომდინარე ფედერალური სარეზერვო სისტემა არის დამოუკიდებელი ორგანო აშშს მმართველობაში. ფსს-ს მართვის საბჭო ინიშნება პრეზიდენტის მიერ 14 წლის ვადით. ასევე ფსს-ს აკონტროლებს კონგრესი და მისი საქმიანობიდან გამომდინარე შეუძლია შეუცვალოს ვალდებულებები საკანონმდებლო გზით.

პირველი დაწესებულება რომელიც ასრულებდა ცენტრალური ბანკის ფუნქციებს იყო ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ბანკი რომელიც დაარსა ალექსანდრე ჰამილტონმა 1791 წელს. ჰამილტონმა 1790 წელს წარუდგინა კოგრესსს მოხსენება ცენტრალური ბანკის შესახებ. მან შესათავაზა კონგრესს ბანკის დაარსება კერძო საკუთრების საფუძველზე და სახელმწიფოს მხრიდან 20 პროცენტიანი თანამონაწილეობით. ასევე მოთხოვნებისამებრ ბანკნოტები უნდა შეცვლილიყო რკინის ფულით და ამ ბანკში უნდა შენახულიყო სახელმწიფოს ფინანსური მარაგები. 1791 წლის 25 თებერვალს კონგრესმა მოახდინა რატიფიცირება ბანკის დაარსების შესახებ. ლიცენზიის გაცემა კი ნიშნავდა იმას რომ ბანკს 20 წლის განმავლობაში ექნებოდა მონოპოლური სტატუსი და ბანკმა აქტიურად დაიწყო სესხების გაცემა აშშს მთავრობაზე რომელმაც შეადგინა 6.2 მლნ აშშ დოლარი. სწორედ ამ წელს გაიზარდა საბითუმო ფასები 85 ერთეულით, ხოლო 1796 წელს 146 ერთეულით. 1811 წელს პალატის წარმომადგენლებმა და სენატმა ბანკის ლიცენზიის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს. აშშს მთვარობამ გააერთიანა ყველა ბანკი რომელთა რიცხვი 120 აჭარბებდა. ბანკების უმრავლესობამ დაიწყო ფასიანი ქაღალდების გამოშვება მაგრამ ქმედებამ სავალალო შედეგამდე მიიყავანა აშშს მთავრობა. პირველი ბანკის ლიცენზიის გასვლის შემდეგ მისი აქტივები და ცენტრალური შენობა შეიძინა ფინანსისტმა სტივენ ჟირარმა. 1811 -1816 წლებში ცენტრალური ბანკი აშშ-ში არ არსებობდა.[14]

1814 წლის შემდეგ კომერციული ბანკების უმეტესობამ უარის განახცადა საკუთარი ბანკნოტების გაცვლა მეტალის ფულზე. ახალი ბანკის პროექტი თვალისწინებდა იმას რომ ეს იქნებოდა კორპორაცია 20 პროცენტიანი სახელ-

-მწიფოს თანამონაწილეობით, უნდა ყოფილიყო მონოპოლისტი ფასიანი ქაღალდების გამოშვების მხრივ და ბანკში უნდა შენახულიყო აშშს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური სახსრები. 1816 წლის აპრილში ორივე პალატამ მოახდინა კანონპროექტის რატიფიკაცია რომელიც ითვალისწინებდა აშშს მეორე ბანკის დაარსებას. რაც შეეხება ლიცენზიას ის 20 წლის ვადით გაიცა აშშს მთავრობის მიერ და მხოლოდ 1817 წელს ბანკმა დაიწყო საქმიანობა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეორე ბანკის დეპოზიტზე არსებული ბანკნოტების რაოდენობა შეადგენდა რამოდენიმე მილიონ აშშ დოლარს. ეს კი სისტემას დიდ ზიანს მიაყენებდა. ამიტომ აშშს პრეზიდენტმა ენდიუ ჯეკსონმა 1833 წელს მეორე ბანკიდან გაიტანა სახელმწიფო ფინასური მარაგები და გადაანაწილა სხვა კომერციულ ბანკებში. ამის შედეგად მეორე ბანკმა დაკარგა ძველი სახელწოდება და განაგრძო „პენსილვანიის შეერთებული შტატების ბანკი“ს სახელწოდებით საქმიანობა. [15]

1837 -1862 წლებში აშშ-ში ცენტრალური ბანკი ფორმალურად არ არსებობდა. ამ პერიოდს ეწოდება „ თავისუფალი ბანკების ეპოქა“. 1862-1913 წლებში მოქმედებდა კანონი რომელიც არეგულირებდა იმ დროინდელი ნაციონალური ბანკების საქმიანობას. 1907 წლის საბანკო სექტორის მდგომარეობიდან გამომდინარე შეიქმნა მოთხოვნა რომ ჩამოყალიბებულიყო ცენტრალიზირებული საბანკო სისტემა ანუ აშშს მესამე ბანკი. მთავარი იმპულსი მესამე ბანკის შექმნისა იყო 1907 წლის ბანკების პანიკა. **1907 წლის პანიკა-ეს** არის ფინანსური კრიზისი რომელმაც დიდი დარტყმა მიაყენა აშშს ფინანსურ სისტემას, კონკრეტულად კი 50 % დაეცა ნიუ იორკის საფონდო ბირჟის ინდექსი წინა წელთან შედარებით. ამ კრიზისმა კომერციულ ბანკებს აიძულა ეღიარებინათ გაკოტრება. გაკოტრების ძირითადი მიზეზი იყო ნიუ იორკის ბანკების ლიკვიდურობის დაცემა და დაურეგულირებელი საბირჟო სპეკულაციები. [16] ფინასური კრიზისის შემდეგ 1908 წელს კონგრესმა მიიღო აქტი რომ უნდა შექმნილიყო ეროვნული ვალუტის კომისია რომლის მიზანიც

იყო ბანკების და ფულადი საშუალებების სარეგულაციო რეფორმების გატარება. სენატორ ნელსონ ოლდრიჩმა შექმნა 2 კომისია: პირველიკომისია ღრმად იკვლევდა აშშს სავალუტო სისტემას, ხოლო მეორე კომისია რომელსაც მან ხელმძღვანელობდა, იკვლევდნენ და ამზადებდნენ მოხსენებას ევროპის საბანკო სისტემის შესახებ. 1910 წელს აშშს საუკეთესო ფინანსიტები მუშაობდნენ კუნძულ ჯეკილზე, მომავალი ცენტრალური ბანკის სტრუქტურაზე და მის ფუნქციებზე. საბოლოოდ შემუშავებული იქნა სქემა რომელიც წარუდგინა ოლდრიჩმა კონგრესს. ის მხარს უჭერდა ისეთი ცენტრალური ბანკის დააარსებას, რომელიც იქნებოდა კერძო საკუთრებაში, მაგრამ სახელმწიფო ჩაერეოდა ბანკის საქმიანობაში მინიმალურ დონეზე. ასევე ის წავიდა დათმობაზე რომ დირექტორთა საბჭოს წევრთა შორის უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს წარმომადგენელი. 1913 წელს იქნა მიღებული კანონი ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ. ამ კანონით დგინდებოდა რომ ფედერალური სარეზერვო ბანკი უფლებამოსილი იყო გამოეშვა ფედერალური სარეზერვო სიტემის ბანკნოტები-შემდგომში უკვე აშშ დოლარი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა კანონიერი გადახდის საშუალება. 1923 წელს შეიქმნა კომისია ცენტრალური ბანკის საქმიანობის კონტროლისათვის რომლეშიც შედიოდა სხვადასხვა შტატის ცენტრალური ბანკის მმართველები.

1979 წელს აშშს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ცენტრალური ბანკის თავმჯომარედ პოლ ადოლფ უოლკერი რომელმაც აღმოფხვრა სწრამფად მზარდი ინფლაცის პრობლემა და დაიყვანა 1% მდე ფულის ემისიის შემცირებით და სავალუტო პოლიტიკის გამკაცრებით.

„კანონი ფედერალური რეზერვის შესახებ“ განსაზღვრავს რომ ფრს შედგება რეგიონალური ფედერალური ბანკებისაგან, რომლებსაც დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი აქვთ.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ფუნქციები :1) აშშს ცენტრალური ბანკის მოვალეობების შესრულება. 2) საფინანსო დაწესებულებების რეგულირება. 3) მომხმარებელთა საკრედიტო უფლებების დაცვა. 4) ფულად-საკრედიტო და

გრძელვადიანი ეკონომიკური პოტენციალის მქონე წარმოების მხარდაჭერა. 5) გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების უზრუნველყოფა და ფასების დასტაბილურება. 6) საფინანსო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება.

ასევე ფრს მოიცავს 12 ფედერლურ სარეზერვო ბანკს რომელიც უზრუნველყოფს ფედერალურ მთავრობას საბანკო მომსახურებით. ასევე ახორციელებენ ფინასური ინსტიტუტების მომსახურებას და უზრუნველყოფენ სხვადსხვა გადახდის სერვისებს: ჩეკების იკასაცია, ელექტრონული ფულადი გადარიცხვები, ფულადი სახსრების შეკრება-განაწილებას. ფედერალური მთავრობისთვის ცენტრალური ბანკები ასრულებენ ფისაკლური აგენტების როლს.

ფრს-ის საბჭო შედგება 7 ადამიანისგან რომლებსაც ნიშნავს აშშს პრეზიდენტი 14 წლის ვადით და ვადის გაგრძელების გარეშე. ცენტრალური დაწესებულება ფედერალური სარეზევრო სისტემის მდებარეობ ვაშინგტონში. ყოველწლიურად ფსს-ის საბჭო აქვეყნებს ანგარიშს ფულის მასების მოძრაობის შესახებ. აქვე შეგვიძლია ვთვქათ რომ აშშს ფედერალური სისტემის ჩამოყალიბებამ რთული გზა განვლო. რთული გზის გავლამ დადებითი შედეგიც გამოიღო, რაც ნათლად აისახება დღევანდელ აშშს ეკონომიკაზე და ფედერალურ სარეზერვო სისტემაზე.[17]

საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ისტორია

როგორც მსოფლიოს უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების, მ. შ. ბანკების არსებობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს – იბერიასა და კოლხეთს, სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები – ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტების სახით გააჩნდათ, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემის წინამორბედებს წარმოადგენდნენ. მსგავსი ტიპის სტრუქტურული ერთეულები საქართველოში ჯერ კიდევ კოლხეთისა და იბერიის სამეფოში ძვ.წთ.აღ-ით VI ს-ში გამოჩნდნენ. შემდგომ პერიოდში ეს პროცსი პერმანენტულად გრძელდებოდა და ჩქარდებოდა, VIII ს-ის საქართველოში უკვე არსებობდნენ ფართო საკრედიტო ორგანიზაციები – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელთაც ორტაღი ეწოდებოდა, რომელნიც კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ ან მის გარეშე იძლეოდნენ. ე.წ. ,,ოქროს ხანის" საქართველოში (XII-ს) ნიშანდობლივი თავისებურება მისი ფულად სისტემა იყო. კერძოდ ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე ვრცხლისა და სპილენძის ფულს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი გააჩნდათ – უპრეცენდენტო მოვლენა იყო ომ დროს მსოფლიოში, რადგან შუა საუკუნეების სახელმწიფოებში თვით სპილენძის ფულს, ნომინალის მიუხედავად, ლითონის ღირებულება ჰქონდა.როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ,დავით აღმაშენებელს ფრიად ორიგინალური გადაწყვეტილება მიუღია: საქართველოს მიწაწყალზერვალს ,,თეთრი" ვერცხლად მიიღებოდეს (რვალი-სპილენძისადათუთიისშენარევილითონი, რომლისგანაც იბეჭდებოდა ფული). თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ,დავით აღმაშენებელმა სავალუტორეფორმ ეროვნული ვალუტის

დევალვაცია მოახდინა და მკაცრი სავალუტო კონტროლის დამყარებით ქვეყანაში უცხოელების მიერ ქართული დიზაინის მქონე სპილენძის ყალბი მონეტების შემოტანა აღკვეთა. ამ სავალუტო რეფორმამ, როგორც შემდგომ მამოვლენებმა აჩვენა – საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეეწყოხელი. XI–XIIIსს. საქართველო ჩაბმულიიყო მსოფლიო ვაჭრობაში, რის შედეგადაც ვითარდებოდა საკრედიტო დაწესებულებებიც, თუმცა XIIIს-ის მეორე ნახევრიდან, მასშემდეგ რაც საქართველო განუწყვეტელი ბრძოლების არენად იქცა, რაიმე სახის საკრედიტო დაწესებულებების არსებობის შესახებ მასალები ისტორიულ წყაროებში აღარ მოიპოვება. მოგვიანებით XVII–XVIII სს. საქართველოში უკვე საზარაფო დაწესებულებები არსებობდა (განსაკუთრებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისდროს), რომლებიც საკრედიტო – საანგარიშსწორებო ოპერაციაბს ასრულებდნენ და ჭრიდნენ ფულს არამარტო საქართველოში, არამედ მეზობელ სახელმწიფოებშიც.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო (1801 წ), საქართველოში მოქმედი ეროვნული საკრედიტო სტრუქტურები გაუქმდა და მათ ადგილზე დაიწყო რუსეთის სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება. საქართველოში პირველი ასეთი საკრედიტო დაწესებულება დაარსდა 1810 წელსთბილისში ,,საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგიოს" სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს. თბილისში 1866 წლიდან ფუნქციონირებდ არუსეთის ბანკის (შეიქმნა 1860 წ.) თბილისის სამმართველო. 1871 წლიდან თბილისის კომერციულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა ფილიალებით ბაქოში, ბათუმში და ერევანში. ამავე წლიდან საქართველოში შეიქმნა ,,შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა", ანუ ,,სასოფლობანკი" (დაფუძნდა დუშეთის მაზრაში). XIX ს-ის 80-იან წლებში საქართველოში სულ 85 საკრედიტო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მ.შ. 158 თბილისში. 1875 წლის 28 ივნისს თბილისში ილია

ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, ხოლო ქუთაისში – 1876 წელს ნიკო ღოღობერიძის თაოსნობით.

1917 წელს თბილისში ფუნქციონირებდა ,,ცენტრობანკი", ფილიალებით ლანჩხუთში, ბორჯომში, ქუთაისში და ზესტაფონში. საქართველოს საფინანსო საქმიანობა სრუსეთის ბანკების კანტორებიც ეწეოდნენ: ვოლგა-კამსკის კომერციულიბანკი,სანკტ-პეტრერბურგის საერთაშორისო ბანკი, სახალხობანკი, საერთაშორისო ნდობის საზოგადოების სტატუსითაა პრიდანოვის ბანკი.

1917 წლის ცნობილი რევოლუციების შემდეგ, კარდინალურად შეიცვალა, როგორც ბანკის საქმიანობის მიმართულებები, ასევე საბანკო სისტემა მთლიანობაში. 1919 წელს მრეწველობის დაკრედიტება შეწყდა, საწარმოების ყველა შემოსავალი, ფულადი ურთიერთობების შენარჩუნებით, ხაზინას გადაეცა. ბიუჯეტი კი დგებოდა, მაგრამ მას თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. რუსეთის ხელისუფლება ისეთ ღონისძიებებს ატარებდა, რომელიც სასაქონლო-ფულად იურთიერთობების ლიკვიდაციისაკენ იყო მიმართული, რადგან, კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისად, სოციალისტური საზოგადოება ფულის გამოყების გარეშე უნდა განვითარებულიყო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბანკო სისტემის ლიკვიდაციის შესახებ. 1920 წლის 19 ივნისს სახალხო კომისარიატის საბჭოს დეკრეტით სახალხო ბანკი გაუქმდა და მისი აქტივები და პასივები ფინანსების სახალხო კომისარიატს გადაეცა, რომელმაც ემისიის უფლებაც შეინარჩუნა. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში არცერთი საკრედიტო დაწესებულება არ ფუნქციონირებდა. საბანკო საქმიანობამ, როგორც სოციალურმა ფენომენმა არსებობა შეწყვიტა, რამაც მაშინვე იმოქმედა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

,,სამხედრო კომუნისმის" პოლიტიკის ჩავარდნის შემდეგ ქვეყნი სმთავრობა იძულებული გახდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასულიყო,

რასაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები უნდა აეღორძინებინა. 1921 წლის 3 მაისს დაფუძნდა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ბანკის (იგი 1921 წლის დასაწყისი და შეიქმნა) საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი, რომელიც 1924 წლის დასაწყისიდან სსრკ-სსახელმწიფო ბანკის (იგი 1923 წლის ივლისიდან ფუნქციონირებდა) საქართველოს სახელმწოფო ცენტრალურ ბანკად გარდაიქმნა.

რუსეთში და აშესაბამისად საქართველოშიც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა 1922 წლისათვის. თავისუფალი მეწარმეობა და ქვეყნის დინამიური განვითარება ახალი საკრედიტო დაწესებულებების შექმნას მოითხოვდა. 1922- 1925 წწ. ქვეყანაში ცალკეული მეურნეობების მომსახურე ბანკების ფართო ქსელი შეიქმნა, როგორებიცაა: ,,მრეწვბანკი", ,,ელექტროკრედიტი", ,,ცეკავშირისბანკი", ,,სასოფლოსამეურნეობანკი", ,,კოპერატიულიბანკი" დასხვ. 1923 წელს თბილისში დაარსდა ,,საქართველოს კომერციული ბანკი" განყოფილებებით აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისსა და ფოთში. 1923 წლის ოქტომბერში ფუნქციონირება დაიწყო თბილისის ოლქის ,,შემნახველმა სალარომ", რომელსაც ფილიალები ოთხ რაიონში ჰქონდა გახსნილი, ხოლო 1929 წლისათვის შემნახველი სალაროების რიცხვმა საქართველოში 270-ს მიაღწია.

1927 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ ,,საკრედიტო სისტემის აღორძინების პრინციპების შესახებ" მიიღო დადგენილება, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბანკის მუშაობაში (განსაკუთრებით სპეციალიზირებული ბანკების) პარალელიზმი შეინიშნებოდა და ისინ იუნივერსალურ ბანკებად ყალიბდებოდნენ. დაკრედიტების განმხორციელებელმა ბანკების სიმრავლემ მათ შორის კონკურენცია წარმოშვა. ბანკების ფუნქციები მკაცრად დაკონკრეტდა და სახ-ბანკის, როგორც მოკლევადიანი დაკრედიტების ორგანოსი და დარგობრივი ბანკების, როგორც გრძელვადიანი დაკრედიტების

ორგანოს როლები შესაბამისად გაძლიერდა. ბანკები დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობისაკენ მიისწრაფვოდნენ, მთავრობა კი მათი ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ინსტრუმენტად გარდაქმნას ცდილობდა.

1930 წლის ბოლოსათვის ,,ნეპი" იქნა ლიკვიდირებული, ხოლო საბანკო სისტემამ 1930-1932 წ.წ. საკრედიტო რეფორმის განხორციელებისას ღრმა ცვლილებები განიცადა, რის შედეგად სპეციალიზირებული სახელმწიფო ბანკის ქსელი შეიქმნა, რომლებიც მათზე ,,მიმაგრებული" სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე იყვნენ ორიენტირებულები. დაიწყო ნახევარ საუკუნოვანზე მეტი პერიოდი, რომელიც იმით ხასიათდებოდა, რომ ბანკების არსებობის მიუხედავად ფაქტობრივად საბანკო საქმიანობა არ არსებობდა, რადგანაც ბანკები საშემნახველო სალაროებად გადაიქცნენ იმის გამო, რომ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დირექტიულად სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებზე იქნაგან პირობებული.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საბანკო სისტემის რეფორმის დაწყების პროცესში სახელმწიფო ბანკების სამმართველოები და განყოფილებები თვითანაზღაურებაზე გადაიყვანეს ბანკების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შენარჩუნებით. მაგრამ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელი გახდა უპირველესყოვლისა იმ რესურსების მკაფიო გამოყოფის შეუძლებლობის გამო, რომელთა განკარგვის შესაძლებლობა ექნებოდათ მათ. სპეციალიზებული ბანკების სისტემის ბანკების საქმიანობა წინააღმდეგოვბაში მოვიდა საბაზრო ურთიერთობებთან.

ეკონომიკის ტრანსფორმაციასთან ცენტრალიზებული მატერიალური მარაგის სიტემის ლიკვიდაცია მოჰყვა. ამან საშუამავლო და სავაჭრო ორგანიზაციების ფართო ქსელი წარმოშვა და საბანკო მომსახურება ზე მოხოვნილება მკვეთრად გაზარდა. ქვეყნის ეკონომიკას ეფექტიანი და საკრედიტო საანგარიშსწორებო

მოსახურების საჭიროება გაუჩნდა.სახელმწიფოს პეციალიზირებული ბანკების ცენტრალიზებულმა სისტემამ, კონსერვატიულობისა და ინერტიულობის გამო, ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ შეძლო. საბანკო დაწესებულებებმა საკუთარი კაპიტალი ვერ მიიღეს. ისინი ცენტრალიზებული ინსტრუქციებით აგრძელებდნენ მუშაობას და ქვეყნის რეგიონებში საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურად წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად თავიანთი საქმიანობის ადაპტაცია ვერ მოახერხეს.

სპეციალიზებული ბანკების დაწესებულებათა უმეტესობამ ერთპიროვნულად დაიწყო კომერციულ ბანკებად გარდაქმნა. კლიენტურის სახელმწიფო სპეციალიზირებული ბანკებიდან კომერციულ ბანკებში მასობრივი გადასვლა დაიწყო. 1994 წლის ბოლოსათვის, ქვეყანაში უკვე 200-ზე მეტი კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა და საბანკო სფეროში სახელმწიფო მონოპოლია იქნა ლიკვიდირებული. [18]

რაც შეეხება ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულებას ფუნქციონირებას საქართველოში, იგი რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათაო რგოლი _ საქართველოს ეროვნული ბანკი. მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომესაც 1917 წლის ნოემბრიდან არავითარი კავშირი არ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილსის განყოფილებამ 1917 წლის ნოემბრიდან ჯერ ამიერ კავკასიის კომისარიატის ფინანსთა კომისრის ქრისტეფორე კარჩიკიანის უშუალო დაქვემდებარებაში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გიორგი ჟურულის და კონსტანტინე კანდელაკის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. აღნიშნული ბანკის თბილისის განყოფილების ფუნქცია ზარაფხანიდან შეტანილი ფულადი ნიშნების ფინანსთა მინისტრის დირექტივებისამებრ განკარგვა იყო. მის მუშა-

ობას აკონტროლებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნული საგანგებო კომისარი. დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატის არარსებობა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევის და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების პრეროგატივას, ერთობუარყოფით როლს თამაშობდა და შეუძლებელი იყო, დიდხანს გაგრძელებიყო.

1919 წლის 13 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ,,კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ", რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს თან ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლება მოვალეობანი იყო განმარტებული.

საქართველოს სახელმწიფო ბანკმა ფუნქციონირება 1920 წლის ივლისიდან დაიწყო. კანონის თანახმად, აღნიშნული სტრუქტურის დაარსების პირველივე დღიდან ,,საქართველოს სახელმწიფო ბანკი" ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხის გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე.

მიუხედავად თავისი არსებობის მცირე ხნისა, ბანკმა საქართველოსთვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: 1) განახორციელა ფულის რეფორმა, 2) შეიქმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავა-

ლუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდ ასუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. შედეგად, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

1918 წლის ივნისში დაარსდა ,,ქართული ფულის ფონდი", რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო. 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარი ოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზი დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისთვის ქართული ბონების გამოსაშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი _ საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო და ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ უკვე იყო დრო, ერთხელ დ ასამუდამოდ, წერტილი დასმოდა საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას სომხეთსა და აზერბაიჯანში.

1921 წლის 21 თებარვალის შემდეგ, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება, ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ,,საქართველოს სახელმწიფო ბანკს» სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა. ამ პერიოდიდან გენერალური ბანკის ფუნქციებს ,,საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბანკი" ასრულებდა.

საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში საქართველოსთვის ახალი ეტაპი 1991 წლიდან იწყება. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების

შემდეგ ქვეყანაში ფეხს იკიდებს საბანკო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესი მძლავრი, კონკურენტუნარიანი, მოქნილი და საიმედო საბანკო სისტემის შექმნა, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება საბანკო სფერო მოითხოვს სერიოზულ ყურადღებასა და მხარდაჭერას, რომ მან არ შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკიური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარება.

1991 წლის აგვისტოში ოპერატიულმა კანონმა საფუზველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, ვის და როგორ უნდა განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და რა როლი უნდა ეთამაშა ამ კუთხით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღიდან ეწოდა „საქართველოს ეროვნული ბანკი“ რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი. თუმცა პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში 1919-1921 წლებში ფუნქციონირებდა.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების მრავალ ეტაპიან პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1919 წელს. ამ დრომდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათავო რგოლი – საქართველოს ცენტრალური ბანკი.

მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება 1917 წლის ნოემბრიდან ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის ფინანსთა კომისრის ქრისტეფორე კარჩიკიანის უშუალო დაქვემდებარებაში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრების გიორგი ჟურულის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ზემოხსენებული ბანკის თბილისის განყოფილების ფუნქცია ზარაფხანიდან შეტანილი ფულადი ნიშნების ფინანსთა მინისტრის დირექტივებისამებრ განკარგვა იყო. მის მუშაობას აკონტროლებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნული საგანგებო კომისარი. დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატის არარსებობა, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევისა და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების პრეროგატივას, ძალზე უარყოფი თროლს ასრულებდა. ამის გამო, ამგვარი ვითარების დიდხანს გაგრძელება შეუძლებელი იყო. ჯერ კიდევ 1918 წლის მიწურულს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა გიორგი ჟურულმ არესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსებისა და მისი წესდების შესახებ. გარკვეულ მიზეზთ გამო, მისი დამტკიცება საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის ბოლომდე გადაიდო. მნიშვნელოვანია გარემოება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საფინანსო წრეების წარმომადგენელთა აზრით, ცენტრალური ბანკი თვისებრივად ახალ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა დაფუძნებულიყო. საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ბანკი არ უნდა მოქცეულიყო კერძო აქციონერებისა და ფინანსთა

მინისტრის გავლენის ქვეშ (როგორც ეს რუსეთის საბანკო პრაქტიკაში იყო მიღებული).

ასეთ პირობებში საქართველოს სახელმწიფო ბანკის მოდელი შვედეთის სახელმწიფო ბანკის მაგალითზე აიგო, რომელიც საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობდა და, ამავე დროს, ორივე ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციისაგან განსხვავდებოდა. ბანკის დაარსებისათვის საჭირო ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მთელი მისი მოგებაც სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნოდა. იგი პირდაპირ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს. წესდების მიხედვით, ბანკის გამგეობა და ზედამხედველობის საბჭო მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები უნდა ყოფილიყო. 1919 წლის 31 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, სტრუქტურული მოწყობა, საწესდებო კაპიტალი და უფლება-მოვალეობანი იყო განმარტებული. „საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“ კანონით:

1. „დამფუძნებული კრების მიერ მიღწეული წესდების თანახმად დაარსებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკი.
2. გაღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად წესდების მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხაზინიდან ორმოცდაათი მილიონი მანეთი.
3. არსებული კანონმდებლობის ყოველი ის მუხლი, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდებას, გაუქმებულ იქნეს ბანკის მოქმედების დაწყების დღიდან.
4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა დამფუძნებული კრების მიერ“.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე, ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიძე. ფუნქციონირების მცირე ხნის მიუხედავად, ბანკმა საქართველოსათვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და, ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. ამის გამო, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით, გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. 1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსის ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას კურირებდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზები დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისათვის ქართული ბონის გამოსაშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი საშინაო და საგარეო მდგომარეობის შედარებით სტაბილურობის ფონზე, ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ

წერტილი დასმოდა სომხეთსა და აზერბაიჯანზე საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას.

სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღების მოსამზადებელი სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ შეირჩა – ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ მარჩილი, როგორც ფულის ერთეული, მიმოიქცეოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „სულთა მატიანეში“ მოხსენებულია ქართველი დიდგვაროვნების მიერ მონასტრისათვის შეწირული მარჩილის ნომინალები. 1920 წლის ივნისში მთავრობის დავალებით მხატვარმა ევგენი ლანსერემ 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი შეასრულა. საქართველოს ეროვნული ვალუტა – მარჩილი მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო. XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის ნივთიერ წყაროდ შემორჩენილია 25 მარჩილის ღირსების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი.

საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ამ დროისათვის დაბეჭდილ ნებისმიერ ფულის ერთეულთან შედარებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მანეთი ყველაზე მტკიცე ვალუტად ითვლებოდა. მისი კურსი რუსეთის „სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებისა“ და ამიერკავკასიის ბონების პარიტეტული იყო, რის გამოც იგი თავისუფლად მიმოიქცეოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში, არამედ რუსეთის პოსტიმპერიულ ქვეყნებშიც. საქართველოს სახელმწიფო ბანკის საქმიანობის შედეგად დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტები და განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს

სახელმწიფო ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა.

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკი“ ასრულებდა, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში რუსეთში დაარსებული სახელმწიფო ბანკის ერთ-ერთ ფილიალს წარმოადგენდა. მისი საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო, ვინაიდან საყოველთაოდ მიღებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ბანკების დამოუკიდებელი მოქმედების უნარს აფერხებდა და ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი. იმ პერიოდის საბანკო კანონმდებლობა ბევრ ნაკლს მოიცავდა. უპირველეს ყოვლისა, არ იყო მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, რაც მის საქმიანობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების არასასურველ ჩარევას ხელს ვერ უშლიდა. ასევე არ იყო ცალსახად ჩამოყალიბებული მისი ძირითადი ფუნქციები, კერძოდ, ცენტრალურ ბანკს ერთდროულად ევალებოდა ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება, „ეკონომიკის შეწონასწორებული განვითარებისა" და მეურნეობრიობის გააქტიურების სტიმულირება. ეს ცენტრალური ბანკისათვის მეტად ბუნდოვანი, წინააღმდეგობრივი და ნაწილობრივ მის კომპეტენციას გაცილებულ საკითხებსაც გულისხმობდა, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას. არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოში ჩამოყალიბდა სამიარუსიანი საბანკო სისტემა, რაც არსებითად აფერხებდა მის განვითარებას.

ლიბერალური მიდგომების ფონზე, პრაქტიკულად, უკონტროლოდ გამრავლდა საბანკო და სხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც ვერ ასრულებდენენ ელემენტარულ ფუქნციებს და ბუნებრივია, საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ამას დაერთო ეროვნული ბანკის მიერ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში ზღვარგადასული ფულადი ექსპანსია, რაც ქვეყანაში ჰიპერინფლაციის გამომწვევი მიზეზი გახდა. მართალია, კანონმდებლობა უკრძალავდა ეროვნულ ბანკს ბიუჯეტის დეფიციტის პირდაპირ დაფინანსებას, მაგრამ საკრედიტო ექსპანსია კომერციული ბანკების დაკრედიტებით ხორციელდებოდა, რასაც იგივე დამღუპველი შედეგი ჰქონდა.

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას ასევე არ უწყობდა ხელს მისი გამგეობის ხუთი წლის ვადით დანიშვნა, რაც ეროვნულ ბანკს პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებების მიმართ დაუცველს ხდიდა. იყო პერიოდი, როდესაც ქვეყანაში არ არსებობდა საკანონმდებლო ხელისუფლება და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, მონეტარული რეგულირების კუთხით, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იღებდა. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა შეზღუდული იყო იმითაც, რომ 1993 წლის პირველ აპრილამდე მას არ ჰქონდა ფულის ემისიის საშუალება. საქართველო შედიოდა სამანეთო ზონაში, რაც მას დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს პოლიტიკურ-ეკონომიკური ზეწოლის იარაღად იყენებდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო-1993 წლის გაზაფხულისათვის, მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსთვის მანეთის მიწოდება, 1993 წლის 3 აპრილიდან მიმოქცევაში დროებითი ფულადი ერთეულის - კუპონის გაშვება, რომელსაც სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე უნდა ეტვირთა გარდამავალი პერიოდის სიმძიმე. კუპონის შემოღების შემდეგ ქვეყანაში არსებულ ურთულეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას დაერთო გაუმართლებლად ლიბერალური ფულად-

საკრედიტო პოლიტიკა, რამაც განაპირობა კუპონის კატასტროფული გაუფასურება.

ეროვნული ბანკი ასევე შეზღუდული იყო სავალუტო ოპერაციების განხორციელებისას, ვინაიდან, პრაქტიკულად, არ გააჩნდა სავალუტო რეზერვები. მართალია, ქვეყანაში მიღებული იყო საექსპორტო ამონაგების სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიყიდვის წესი, მაგრამ საწყის ეტაპზე ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფდა რეზერვების შევსებას. 1993 წლის ივნისიდან ამოქმედდა სახელმწიფო სავალუტო ფონდის ფორმირების ახალი წესი, რომლის თანახმად, საექსპორტო ამონაგების 32 პროცენტიდან, რომელიც სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიყიდვას ექვემდებარებოდა, 10 პროცენტი, მომდევნო წლიდან კი უკვე მთლიანი თანხა ეროვნული ბანკის რეზერვების შევსებას ხმარდებოდა.

1992 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური დახმარებით დაიწყო მუშაობა საქართველოში თანამედროვე ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. საყურადღებოა 1993 წლის 29 ნოემბრის სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება - „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ", სადაც გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები და ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობის წინადადებები. 1994 წლის 25 მაისიდან საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, ეროვნული ბანკის სპეციალური დადგენილებით, დაუწესდათ ახალი საწესდებო ფონდის ნორმატივები, რომელიც თანდათანობით ზრდიდა საბანკო სისტემის კაპიტალიზაციას. 1994 წლის 12 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით - „საქართველოში საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ" -დასრულდა ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამ დოკუმენტში ასევე მნიშვნელოვანი იყო ფულის მიწოდების

უკეთ რეგულირებისათვის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების გადატანა ეროვნულ ბანკში და კლიენტებთან უშუალო ანგარიშსწორების ფუნქციის ჩამორთმევა ეროვნული ბანკისათვის და მისი კომერციული ბანკებისათვის გადაცემა.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 95-ე მუხლის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით, რომელიც 1995 წლის 23 ივნისს იქნა მიღებული. ორგანული კანონი ანიჭებს დამოუკიდებლობას ცენტრალურ ბანკს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებისას. ეროვნული ბანკი თავისუფალია აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერი ჩარევისაგან მის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ხელისუფლების - საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს", სადაც მოცემულია ეროვნული ბანკის საქმიანობის ზოგიერთი ძირითადი სამოქმედო რაოდენობრივი პარამეტრი და წლის განმავლობაში განსახორციელებელი სტრატეგიული ღონისძიებები ფულად-საკრედიტო, პრუდენციული რეგულირების სფეროსა და ქვეყნის საგადასახდელო სისტემის განვითარებისათვის.

თანამედროვე საქართველოს ეროვნული ბანკი შეიქმნა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

იმ პერიოდის საბანკო კანონმდებლობა ბევრ ნაკლს მოიცავდა. უპირველეს ყოვლისა, არ იყო მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, რაც მის საქმიანობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების არასასურველ ჩარევას ხელს ვერ უშლიდა. 1992 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური დახმარებით დაიწყო მუშაობა საქართველოში თანამედროვე ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. საყურადღებოა 1993 წლის 29 ნოემბრის სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულება-„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ", სადაც გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები და ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობის წინადადებები.

1994 წლის 25 მაისიდან საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, ეროვნული ბანკის სპეციალური დადგენილებით, დაუწესდათ ახალი საწესდებო ფონდის ნორმატივები, რომელიც თანდათანობით ზრდიდა საბანკო სისტემის კაპიტალიზაციას.

1994 წლის 12 აგვისტოს სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით - „საქართველოში საბანკო სისტემის სრულყოფის შესახებ" -დასრულდა ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება. ამ დოკუმენტში ასევე მნიშვნელოვანი იყო ფულის მიწოდების უკეთ რეგულირებისათვის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების გადატანა ეროვნულ ბანკში და კლიენტებთან უშუალო ანგარიშსწორების ფუნქციის ჩამორთმევა ეროვნული ბანკისათვის და მისი კომერციული ბანკებისათვის გადაცემა.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 95-ე მუხლის შესაბამისად, ეროვნუ-

ლი ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით, რომელიც 1995 წლის 23 ივნისს იქნა მიღებული.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის არსებობას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის. ამასთანავე, ეროვნული ბანკი ზრუნავს საფინანსო სისტემის სტაბილურ ფუნქციონირებაზე და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას. ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა ემსახურება ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალის ამაღლებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები განსაზღვრულია ორგანულ კანონში "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ". ხოლო ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები მოცემულია "ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში", რომელიც ყოველწლიურად მუშავდება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

როგორც ცნობილია, ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველო კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მხოლოდ ეროვნულ ბანკს გააჩნია უფლება, განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების გამოშვება. ასევე, ეროვნულ ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება, დაამზადოს, მიმოქცევის ან სხვა მიზნით, სამახსოვრო ფულის ნიშნები.

ეროვნული ბანკის საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების (თეთრების) დიზაინს, შემადგენლობას და სხვა მახასიათებლებს, რის შემდეგაც იწყება ფულისნიშნების ბეჭდვისა და მოჭრის პროცესში ჩაშვება. ქართული ფულის ნიშნები წამყვან ევროპულ ორგანიზაციებში მზადდება.

საქართველოს ტერიტორიაზე მზა ფულის ნიშნების ტრანსპორტირებას და შემდგომ ეროვნული ბანკის საცავებში მათ შენახვას ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. მოსახლეობას ფულის ნიშნები კომერციული ბანკების მეშვეობით მიეწოდება.

ფულის ნიშნების მიმოქცევაში გასვლის შემდეგ იწყება მათი ცვეთის ბუნებრივი პროცესი, რაც, საბოლოო ჯამში, მიმოქცევისათვის მათ გამოუსადეგარობას იწვევს. ქაღალდის ფულის ნიშნების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1-დან 5 წლამდე მერყეობს, გამომდინარე ნომინალის მოხმარების თავისებურებებიდან. მონეტები მიმოქცევაში გაცილებით დიდხანს ძლებს. ეროვნული ბანკი სისტემატურად ახორციელებს ხმარებისათვის გამოუსადეგარი ფულის ნიშნების მიმოქცევიდან ამოღებას და მათ ჩანაცვლებას შესაბამისი ოდენობის ახალი მონეტებითა და ბანკნოტებით. გამოუსადეგარი ფულის ნიშნების განადგურება ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ხდება.

ეროვნული ბანკი მთავარი ექსპერტია ეროვნული ვალუტის, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე - ექსპერტი უცხოური ვალუტისა და საბანკო ბილეთების ნამდვილობის დადგენის საქმეში. იგი სისტემატურა ახორციელებს

მიმოქცევიდან ყალბი და ფალსიფიცირებული ფულადი ნიშნების ამოღებას. ამასთან, ყალბი და ფალსიფიცირებული ფულადი ნიშნების ამოღება ხდება კომპენსაციის გარეშე.

მიმოქცევისათვის განკუთვნილი ფულის ნიშნების ემისიის გარდა, ეროვნული ბანკი კანონმდებლობით არის უფლებამოსილი, გამოუშვას ნუმიზმატური დანიშნულების - სამახსოვრო და საინვესტიციო მონეტები.

ეროვნული ბანკის შექმნის აუცილებლობით დიდი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს საბაკო სისტემის განვითარებაში. ეს ზუსტად საბჭოთა კავშირის პერიოდს დაემთხვა, როცა ქართული საბანკო სექტორის განვითარება შეუძლებელი იყო. [19]

II თავი-საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები

2.1 საბანკო პროდუქტების, მომსახურების და ტექნოლოგიების განვითარების ისტორია

ფული არის ოქროთი ამოკვეთილი თავისუფლება-ერიხ მარია რემარკი

ფული — ფული საქონელ ბრუნვის საშუალებაა.ის წარმოების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის დამაკავშირებელი კონკრეტული სახმარი ღირებულებაა. კლასიკური პოლიტ-ეკონომიკური აღქმით ფული და ვალუტა სინონიმებია. ფული საქონლის ეკვივალენტია, შეფასებითი კატეგორიაა.ტერმინი „ფული“ ეტიმოლოგიურად, ანუ სიტყვის წარმოქმნის ასპექტით, დაკავშირებულია ბიზანტიურ „ფოლი“სთან – სპილენძის სამონეტო ერთეულთან. ზოგადი მნიშვნელობა კონკრეტულმა სახელმა მოგვიანებით შეიძინა.[20]

ფულს ისევე დიდი ხნისი ისტორია აქვს, როგორც კაცობრიობის ცივილიზაციას. საუკუნეების სვლასთან ერთად ფულადი ერთეულებიც მუდმივად იცვლებოდა. მას ცალკეულ ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს და თითოეული თავისთავად უნიკალურია.

თავდაპირველად ეს იყო უბრალოდ ნატურალური გაცვლა. ადამიანების პირველყოფილი საქმიანობის – ნადირობისა და შემგროვებლობის, უფრო ეფექტური საქმიანობით ჩანაცვლებამ განაპირობა გაცვლის საჭიროება ერთი საქონლისა მეორეზე, რომელიც დღემდე "ბარტერის" სახელით შემოინახა.

გასაცვლელი საქონლის სახეობების ზრდამ. მის მამალფუჭებადობამ და დროითმა დანაკარგებმა განაპირობეს ნატურალური გაცვლითი ოპერაციების

გართულება. კომპანიონის მოსაძებნად, რომელსაც ხელს აძლევდა შემოთავაზებული საქონლის თავისაში გაცვლა, იკარგებოდა დიდი დრო. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ადამიანებს ვეღარ აკმაყოფილებდათ საქონლის ნატურალური გაცვლა ანუ ბარტერი და გადაწყვიტეს მოეფიქრებინათ ისეთი უნივერსალური გადახდის საშუალება, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელი იქნებოდა მიეღოთ ნებისმიერი სახის საქონელი და მომსახურება.

მოიფიქრეს და განახორციელეს კიდეც. ეს საშუალება იყო – ფული (ლათ. follis - ჩახვი, ანუ მცირე ტუნკია, ტომსიკა, ტომარა, რომელშიც ინახებოდა 40 ცალი სპილენძის მონეტანუმი).

ფულის ლათინური დასახელება pecunia მოდის სიტყვა pecus-იდან, რაც ნიშნავს ნახირს. მაშინ, როცა თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზე ჩვ.წ–მდე 1000 წელს ფულის ერთეული იყო ხვასტაგი (ძროხა), ჩრდილოელი ხალხისთვის ამ ფუნქციას ირემი ასრულებდა. სხვადასხვა ერები სხვადასხვა ეპოქაში აღიარებდნენ ფულის ერთეულად ისეთ განსხვავებულ საგნებს, როგორებიცაა მაგ: სპილოს შუანი, სპეკალი, ცხოველის ბეწვი, ოპიუმი, კაკაო, მარგალიტები და ა.შ. განსაკუთრებით ცნობილია აგრეთვე ნიჟარები,ბევრისთვის კი ღირებულებისა და გადახდის საზომი იყო მონა. მაგრამ ასეთ ფულს ჰქონდა უამრავი მინუსი. შეუძლებელი იყო ბევრი მათგანის დაყოფა (მაგ:ძროხის) და გადაზიდვა (მაგ:ქვების). სიმძიმისა და მალფუჭებადობის გამო ვერ ხერხდებოდა მათი რამდენიმეჯერ გამოყენება. ამასთან ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მაინც ის იყო, რომ ასეთი ფულის მოპოვება და შენახვა დიდ დროით და ფიზიკურ დანახარჯებს საჭიროებდა. ამიტომ კაცობრიობამ გამოიჩინა საღი აზრი და გამოიგონა უფრო მეტად კონვერტირებადი, უფრო იოლად გადაზიდვადი და უფრო ხანგრძლივად მოხმარებადი გაცვლის საშუალება – ვიდრე ნატურალური ფული – მონეტები.

ითვლება, რომ ყველაზე პირველად მონეტები გამოჩნდნენ ჩინეთსა და ძველი ლიდიის სამეფოში ძვ.წ VII საუკუნეში. დაახლოებით 500 წელს კი, ჩვენსერამდე, სპარსეთის მეფე დარიავახუშმა ("დარიოსმა") მოახდინა "ეკონომიკური რევოლუცია" თავის სახელმწიფოში, შემოიღო რა მონეტები ოფიციალურ გაცვლის ერთეულად და ჩაანაცვლა ამით ბარტერი. მონეტების წრაფად გავრცელდა მეზობელ, ბარბაროსულ ტომებში, მოგვიანებით კი – უფრო შორსა და შორს. იმ დროისთვის მონეტების ბეჭვდის სახსრები და შესაძლებლობები მხოლოდ მდიდარ მიწათმფლობელებსა და მონასტრებს ჰქონდათ. თავიდან მონეტები მხოლოდ ოქროსი, ვერცხლის ან მათი შენადნობის იყო, მაგრამ მალე ძვირფასი ლითონების სიმცირემ განაპირობა მონეტების სპილენძისა და ბრინჯაოსაგან გამოჭედვა. მათ არ გააჩნდათ "შინაგანი" ფასეულობა, განსხვავებით ძვირფასი ლითონებისაგან, არამედ მათზე დატანილი იყო ღირებულების აღმნიშვნელი შესაბამისი ნიშნები.

თითქმის ყველა მონეტაზე გაარჩევდით წინა მხარეს – ავერსს და უკანა მხარეს კი რევერსს. ყოველი ეპოქა გარკვეულ ნაკვალევს ტოვებდა მონეტების გამოსახულებაზე. უძველეს მონეტებზე შეამჩნევდით მხოლოდ უბრალო ჩაღრმავებებს. ჩვენსერამდე V საუკუნიდან კი მონეტებზე გამოჩნდა ნომინალი საღმნიშვნელი ციფრები და ასოები (ასოებით გამოსახავდნენ ქალაქების ინიციალებს, სადაც იბეჭდებოდნენ ისინი). ხოლო ზემოთ ნახსენებმა დარიოსმა, პირველად ისტორიაში, ოქროს მონეტებზე თავისი სახე გამოაჭედვინა. ამის შემდეგ კი მონეტებზე სახავდნენ დიდებულების, გმირების, ისტორიული მოვლენების და ბევრ საინტერესო ფაქტებს.

პირველი ქაღალდის ფულის პროტოტიპი შეიქმნა ჩინეთში ჯერ კიდევ IX საუკუნის დასაწყისში. დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები დიდ თანხებს მოითხოვდნენ, ამიტომ იმპერატორმა დააბეჭვდინა მაღალი ხარისხის ქაღალდი, რომელზეც დატანილი ნიშნებით იგი 10000 სპილენძის მონეტის

მაგივრობას სწევდა. ხოლო მასიურად ბანკნოტების ბეჭდვა დაიწყო 1024 წელს, რადგანაც ომის დასაფინანსებლად დიდი სახსრები იყო საჭირო. ამას მონეტები ვერ უზრუნველყოფდნენ, მათისიმცირისა და ძნელად ტრანსპორტირებადობის გამო. მარკო პოლო წერდა, რომ: ქაღალდის ფულის გამოშვება - ეს ახალი შესაძლებლობაა იმ მიზნის მისაღწევად, რომლისკენაც ასე დიდი ხანი მიისწრაფვოდნენ ალქიმიკოსები. ამ მოსაზრების საბაბი მიუცია 1276 წელს ჩინეთში მოგზაურობისას შეხვედრილ იმპერატორულ ბანკნოტებს, რომლებიც გამოიყენებოდა, როგორც საყოველთაო გადახდის საშუალება. ჩინგიზ-ხანის მართველობა ამ კუპიურებს თავისუფლად ცვლიდა ოქროზე.

ევროპაში ბანკნოტები შედარებით გვიან გამოჩნდნენ. 1661 წელს სტოკჰოლმის, კერძო, საემისიო ბანკმა დაბეჭდა პირველი ოფიციალური ბანკნოტები ევროპაში. იქამდე კი ევროპელები იყენებდნენ - ვექსელს. ეს არის მოკლე ან გრძელვადიანი ხელშეკრულება ორ მხარეს შორის, რომელიც მის(ვექსელის) გამცემს ავალდებულებს დათქმულ დროს წინასწარ შეთანხმებული თანხის გადახდას.

აღსანიშნავია ასევე, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ბანკნოტებს პერიოდულად უშვებდნენ და შემდეგ იღებდნენ სავალუტო სისტემიდან. მიზეზი ამისა იყო ის, რომ, როცა მთავრობას ფული სჭირდებოდა, დიდი რაოდენობით ბეჭდავდა ფასიან ქაღალდებს, რაც მოკლე ხანში იწვევდა ჰიპერინფლაციას და იძულებულნი ხდებოდნენ კვლავ მეტალს დაბრუნებოდნენ.

1945 წელს მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული კრიზისიდან გამოსასვლელად და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემისთვის სტიმულის მისაცემად, ბრეტონ-ვუდსში შეიქმნა ე.წ. ბრეტონ-ვუდსის სისტემა, რომელმაც გამოიწვია საერთაშორისო სავაჭრო და საგადასახადო სისტემაში, ამერიკული დოლარის ''გაბატონება", სადაც 1914 წლამდე ბრიტანულ გირვანქა სტერლინგს

(pound) ლიდერის პოზიცია ეკავა.

1971 წლამდე ბანკნოტების მფლობელებს ჰქონდათ უფლება, ქაღალდის ფული ნებისმიერ დროს გადაეცვალათ ბანკში ოქროზე საბაზრო ფასის შესაბამისად (ოქროს სტანდარტი). ეს გულისხმობდა, რომ ბანკის საცავში იმდენი ოქრო უნდა ყოფილიყო შენახული, რა ღირებულების კუპიურებიც ჰქონდა მას ემისირებული. 1971 წელს კი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ბანკნოტებმა ეს უფლება დაკარგეს. თუმცა, ზოგიერთმა ქვეყანამ ეს პროცესი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ განახორციელა. იქიდან მოყოლებული დღემდე ქაღალდის ფული არც ერთ ლითონზე არაა მიმაგრებული და თავისუფლად იხმარება მსოფლიო სავალუტო სისტემაში.[21]

როგროც ვთქვით საბანკო საქმიანობის ისტორია ჯერ კიდევ ჩვწ. VII საუკუნეში იწყება.მიჩნეულია რომ იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არსებობდნენ მევახშეები. ცნობილია რომ ძველ საბერძნეთში იყვნენ ტრაპეზიტები რომნლებიც ახორციელებდნენ მონეტების გაცვლას და ღებულობდნენ ფულს შესანახად. ჩვწ. II საუკუნიდან ასრებოდა სამეფო ბანკები იმდროინდელ მეგაპოლისებში როგორიცაა თებე,მემფისი და სიენა. სამეფო ბანკებში ინახებოდა საგადასახადო მოსაკრებლიდან შემოსული ფულადი სახსრები და სახელმწიფოს ხელში არსებული ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები. ძველ რომში საბაკო საქმიანობის განმხორციელებელ პირს მენასრს(mensarii) და აგრენტარს (agrentarii) ეძახდნენ.ისინი ახორციელებდნენ ისეთ საბანკო ოპერაციებს როგორიცაა: მონეტების გაცვლა, სეხების გაცემა,ანაბრების მიღება და ქალაქებს შორის ფულადი გადარიცხვები. დროთა განმავლობაში განვითარება ჰპოვა საბანკო საქმიაობის სფერომ და იზრდებოდა მოთხოვნა საბანკო მომსახურებაზე. საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდამ დროთა განმავლობაში გამოიწვია ახალი საბანკო პროდუქტების წარმოშობა.

მეოცე საუკუნის 90იან წლებში საბანკო საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინტერნეტმა და კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა. ეს გამოგოგონება შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის ისტორიაში ერთერთ მნიშვნელოვან გამოგონებად, რომელმაც დიდი ნაბიჯის გადადგმის საშუალება მისცა მსოფლიო ეკონომიკას. ასევე აღსანიშნავი რომ აქტიურად გამოიყენება საბანკო სექტორსი ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნოლიები დროის ფაქტორის გათვალისწინებით.

XXIს-ში კომერციული ბანკები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს სთავაზობენ სხვადსხვაგავრი სახის მომსახურებას და საბანკო პროდუქტს. აქედან გამომდინარე კომერციულ ბანკებს შორის იქმნება კონკურენცია რომელიც იწვევს ახალი პროდუქტისა და ტექნოლიგიის დანერგვას საბანკო სექტორში.

სანამ ახალ საბანკო პროდუქტებსა და ტექნოლოგიებს შევეხებით მანამ განვიხილთ ცოტა ძველი და თამამედროვე საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები.

სიტყვა კრედიტი ლათინური წარმომავლობისადა ნიშნავს სესხს,ვალს. კრედიტის წარმომავლობა მოდის მესოპოტამიიდან რომელიც ნახსენებია მეფე ხამურაბის კანონთა კრებულში და თარიღდება ძვ.წ მეორე ათასწლეულით.

ეგვიპტში კრედიტი პირველად გამოყენებული იქნა ჩვწ. მესამე საუკუნეში რომელიც ნიშნავდა შემდეგს: თუ მსესხებელი აიღებდა სესხს კრედიტორისგან და არ გადაიხდიდა განსაზღვრულ ვადაში, მაშინ მსესხებელი ხდებოდა კრედიტორის მონა.

შუა საუკუნებში საკრედიტო მომსახურება დაიხვეწა სადაც ფიგურირებდნენ მევახშეები. ეკლესია მევახშეების წინააღმდეგი იყო ,ხოლო ამის შედეგად იტალიელმა ბანკირებმა შემოიღეს ვექსელური დაკრედიტება ანუ თამასუქი.

გულისხმობდა რომ მსესხებელს კრედიტორისგან შეეძლო აეღო სესხი დაბალ პროცენტში. დროთა განმავლობასი საკრედიტო სფერო ვითარდებოდა რომელიც განაპირობა ბაკების წარმოშობამ.[22]

დღესდღეობით არსებობს კრედიტის სხვადსხვა სახეობები: ავტოკრედიტი, სახელმწიფო კრედიტი, საბანკო კრედიტი, ბანკთაშორისი კრედიტი, იპოთეკური კრედიტი, სამომხმარებლო კრედიტი, ბიზნეს კრედიტი და სხვა.

როგროც სიტყვა კრედიტი წარმოიშვა მესოპოტამიაში კერძოდ კი ბაბილონში, ასევე ანაბრის წარმომავლობაც ბაბილონში უნდა ვეძიოთ. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის რომ როცა სესხე მოთხოვნა მატულობდა, მევახშეები ღებულობდნენ ადამიანებისგან ფულად საშუალებებს ანაბრების სახით, ხოლო შემდეგ ამ ფულად სასუალებებს გასცემდნენ სესხის სახით. V-X საუკუნეში სადეპოზიტო ბანკები გავრცელებული იყო ბიზანტიაში,რომელთა მთავარი ფუნქცია იყო ანაბრების მიღება. ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში გავრეცელება ჰპოვა ევროპის კონტინენტზე. [23]

დღესდღეობით კომერციული ბანკები სთავაზობენ თავიანთ მომხამრებელბს სხვადსხვა სახის ანაბრებს, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ვადიანობის, საპროცენტო განაკვეთის და შესატანი ფულადი საშუალებების მიხედვით. დროთა განმავლობაში ვითარდებოდა საბანკო სექტორი როგორც ისტორიიდან ჩანს და უკვე მეოცე საუკუნის შუა წლებიდან იწყება ტექნოლოგიების დანერგვა საბანკო სეტორში.

ერთერთი ყველაზე დიდი გადაგმული ნაბიჯი საბანკო ისტორის განვითარებაში იყო საბანკო ბარათის (პლასტიკური ბარათი) გამოგონება. უნაღდო ანგარიშსწორება შეიქმნა აშშ-ში „სავაჭრო ბუმის“ დროს 1940 -1950იან წლებში რომელმაც ჩაანაცვლა ჩეკის წიგნაკი. დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და პროგრესი განიცადა უნაღდო ანგარიშსწორებამ. თავიდან ეს

იყო მუყაოს ნაწილი, ხოლო შემდეგ უკვე ხდებოდა ბარათის პოლიგრაფიული დამუშავება. ბარათზე დაშტამპული იყო ბარათის ნომერი და მფლობელის სახელი და გვარი. 1970იან წლებში ბარათები ფუნქციონირებდა მაგნიტური ზოლის მეშვეობით, ხოლო 1990იან წლებში პლასტიკური ბარათები გახდა ინტეგრირებული მიკროსქემებიის მეშვეობით. პირველი საკრედიტო ბარათი გამოშვებული იქნა ნიუ იორკში მდებარე ბანკის „ლონგ აილენდი „ს მიერ. 1960-70 იან წლებში მსოფლიოს მოედო უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა.

XXI საუკუნის დასაწყისში უნაღდო ანგარიშსწორების ბარათებმა განვითარების პიკს მიაღწია. ისინი მოდერნიზებული იქნა უფრო ტექნოლოგიური და თანამდეროვე მიკროსქემებით, რაც საშუალებას აძლევდა ბარათს რომ ემუშავა კონტაქტის გარეშე პოს ტერმინალებთან მიმართებაში ინერნეტის მეშვეობით. [24]



ბანკომატი-(ATM- automated teller machine) პროგრამულ-ტექნიკურ კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა ფულის მიღება-გაცემა პლასტიკური პარატის გამოყენებით.

პირველი ბანკომატი დაიდგა ლონდონში 1967 წლის 27 ივნისს რომლის მთავარი ფუნქცია იყო ანგარიშსწორება განეხორციელებინა ნაღდი ფულით. ბანკომატი გამოიგონა შოტლანდიელმა ჯონ შეპარდ-ბარონმა. შეუძლებელი იყო იმ პერიოდში მომხმარებლის ანგარიშზე არსებული თანხის რაოდენობის შემოწმება ბანკომატის მეშვეობით, ამიტომ ბანკომატი ერთ პირზე მხოლოდ 10 ფუნტ სტერლინგ იძლეოდა. ეს ბანკომათი იყო „უბარათო „ ანუ ფული გაიცემოდა ბანკომატის მიერ მხოლოდ ბანკის მიერ გაცემული სპეციალური ჩეკის მეშვეობით რომელიც გაიცემოდა წინასწარ ბანკის მიერ. 1966 წელს შოტლანდიელმა ინჯინერმა ჯეიმს გუდფელოუმ შექმნა საიდუმლო დამცავი 4 ციფრა კოდი ანუ პინ კოდი (Personal Identification Number). 1971 წლიდან ამერიკული ბანკების ნაწილი უკვე გამოიყენებდა პირველი ტიპის ბანკომატებს. დროთა განმავლობაში იხვეწებოდა ბანკომატები. მოგვიანებით კი გამოგონებული იქნა ბანკომატი რომელიც გასცემდა და ღებულობდა ნაღდ ფულს. XXI საუკუნის დააწყისში დაინერგა საბანკო სისტემაში, კერძოდ კი ბანკომატების მხრივ -Cash Recycling, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობდა : ბანკომატი ფულის ნაცვლად მომხამრებელს აძლევდა ჩეკს რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იყო ნებიემიერ სავაჭრო ობიექტზე. 2012 წელს კი იაპონიის ერთერთმა ბანკმა (Ogaki Kyoritsu Bank) გამოიყენა ახალი ტიპის ბანკომატი, რომელიც მომხამრებლის იდენტიფიცირებას არა ბარათით და პინ კოდის მეშვეობით ახდენდა, არამედ დაბადების თარიღის და ხელის გულის სკანირების მეთოდის გამოყენებით. [25]

სურ#2.მსოფ-ში არსებული ბანკომატთა ოდენობა ყოველ 100 ათას ადამიანზე



დროთა განმავლობაში მატულობს ბანკომათთა რაოდენობა და შესაბამისად მატულობს საკრედიტო ბარათის მომხმარებელთა რაოდენობაც. აქედან გამომდინარე ერთი საბანკო პროდუქტის თუ ტექნოლოგიის განვითარება ხელს უწყობს სხვა საბანკო პროდუქტების განვითარებას.

პოს ტერმინალი- (Point Of Sale) ეს არის ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა რომელიც განკუთვნილია უნაღდო ანგარიშსწორებისათვის. პოს ტერმინალზე გადახდა შესაძლებელია ძირითადად 3 სახის ბარათით : მიკრო ჩიპიანი, მაგნიტურ ხაზოვანი და უკონტაქტო ბარათით. უკონტაქტო ბარათით გადახდას ერთი დადებითი მხარეც აქვს : ბარათის სრული სახე ხელმისაწვდომია სმარტფონებზე, რის შედეგადაც ხდება აპლიკაციის ჩამოტვირთვა და ბარათის მონაცემების შეყვანა სმატრფონში, შემდეგ კი ჩვეულებრივად შესაძლებელია სმარტფონის მეშვეობით უნაღდო ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათის ჩარევის გარეშე. დღესდღეობით ფულადი საშუალებების უმეტესი ნაწილის მოძრაობა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით.[26] ტექნოლოგიების განვითარება

გვიჩვენებს თუ რაოდენ შესაძლებელია დროის მოგება ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით საბანკო სექტორში. ამის ნათელი მაგალითია სურათი#3



თანამედროვე საბანკო საქმის განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად სამართლიანად აღიარებულია დისტანციური საბანკო მომსახურება. ერთერთი კი ინტერნეტ-ბანკინგია.

რაც შეეხება ინტერნეტ-ბანკინგს, ეს არის დისტანციური საბანკო მომსახურების ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება წვდომა საკუთარ ანგარიშთან და ნებისმიერი ოპერაციის ჩატარება კომპიუტერის მეშვეობით; როგორც წესი ინტერნეტ-ბანკინგი მოიცავს შემდეგი სახის მომსახურებას : გადახდების განხორციელება, ვალუტის კონვერტაცია, ამონაწერის მიღება, ანგარიშიდან ანგარიშზე გადარისხვა და სხვა. ინტერნეტ-ბანკინგი ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით : მომხმარებლის მიერ დაზოგილი დრო იმავე ოპერაციაზე რომელიც შესაძლებელია ინტერნეტ-ბანკინგით შერულდეს, 24 საათიანი უწყვეტი წვდომა პირად ანგარიშებთან და

ანგარიშების კონტორლი და მომხამრებელს შეუძლია გააკონტროლოს პირადი ანგარიში სადაც კი კომპიუტერს წვდომა ექნება ინტერნეტთან. რა თქმა უნდა არც საქართველოა გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველოა რადგან საკმაოდ განითარებულია ეს მომსახურება საქართველოში. აღსანიშნავია რომ საბანკო მომსახურების ბევრი სახეობა ხორციელდება ინტერნეტის მეშვეობით, ეს კი სწორედ ტექნოლოგიების გამოგონებაზე და მათ განვითარებაზეა დამოკიდებული. [27]

ერთერთი სწრაფად მზარდი მომსახურების სფერო საბანკო სფეროში მობაილ-ბანკინგია. ეს არის ბანკის ან ფინასური ინსტიტუტის მიერ დადგენილი სერვისი რომელიც უფლებას აძლევს განახორციელოს ფინასური გადარიცხვები დისტანციურად სმარტფონის მეშვეობით. მობაილ-ბანკინგის მუშაობა დამოკიდებულია პროგრამულ უზრუნველყოფაზე რომელსაც ქვია აპლიკაცია და რომელიც შექმნილია ფინასური ინსტიტუტების მიერ. ერთერთი დადებითი მხარე მობაილ-ბანკინგისა ის არის რომ შესაძლებელია 24 საათიანი წვდომა მომხამრებლის მიერ საკუთარ ანგარიშებთან. ასევე უნდა აღინიშნოს რომ მობაილ-ბანკინგის მუშაობა დამოკიდებულია სმარტფონის მიერ ინტერნეტთან წვდომაზე. ამ საბანკო მომსახურებით შესაძლებელია მომხმარებლის მიერ ბალანსის შესახებ არსებული ინფორმაციის მიღება, ტრანზაქციების განხორციელება და მათ შესახებ ინფორციის მიღება და P2P გადახდების განხორციელება.[28] უკანასკნელ წლებში საქართველოს ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის ზრდის ფონზე (გაიზარდა 2,1 მლნ-მდე), მაღალი ზრდის ტემპი აჩვენა მობილური აბონენტების ბაზარმაც, რომელიც 2010-2014 წლებში 3,98 მლნ-დან 5,7 მლნ აბონენტამდე გაიზარდა. მობილური აბონენტების პარალელურად გაიზარდა მობილური ინტერნეტ-მომხმარებელთა სეგმენტიც, სადაც დაფიქსირდა 31%იანი ზრდა (2013წ). ასევე, გაიზარდა მობილური ბაზრის საცალო შემოსავლები და შეადგინა 453.4 მლნ

ლარი. [29]

ITU-ს კვლევის ანგარიშით საქართველოს მობილურ ბაზარზე, მობილურის აქტიური ხელმომწერთა რაოდენობა აჩვენებს, რომ ყოველ 100 კაცზე მოდის 16,4 კაცი. [30]

აღსანიშნავია რომ მობილური სექტორის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა კომერციული ბანკების მიერ გეზის აღება მობილურის მომხმარებელთა სეგმენტისაკენ. აღსანიშნავია რომ ინტერნეტ და მობაილ ბანკინგის მომხმარებელთა ბაზარზე კვლევების ჩატარება რთულია ვინაიდან ბაზარი განიცდის ინფორმაციულობის სიმცირეს.

უნდა აღინიშნოს ასევე ეროვნული ბანკის ყოველ წლიური მოხსენება საბანკო სექტორის შესახებ , კერძოდ კი საგადახდო სისტემების შესახებ. მომხმარებლის მიერ გამოყენებული გადახდის საშუალებების მხრივ ასევე მნიშნელოვანია ინტერნეტ-ბანკით და მობილური ბანკით განხორციელებული გადახდები. ამასთან, საყურადღებოა, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა მობილური ბანკის გამოყენება, კერძოდ, 2017 და 2018 წლებში მისი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით, შესაბამისად, 125 და 149 პროცენტით გაიზარდა მაშინ, როცა იმავე პერიოდში ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული გადახდების რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა.2018 წლის მონაცემებით ინტერნეტ-ბანკით გადახდების რაოდენობის წილი, წინა წელთან შედარებით, მთლიანად უნაღდო გადახდების რაოდენობაში 4.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების რაოდენობის წილი 1.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 3.5 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად ამისა, ინტერნეტ-

ბანკი, საგადახდო ბარათების შემდეგ, მომხმარებლის მიერ გადახდის განხორციელების ყველაზე ხშირად გამოყენებულ საშუალებად რჩება.

ცხრ#4



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ საგადახდო ბარათების რაოდენობის ზრდა ძირითადად გამოწვეულია სადებეტო ბარათების ზრდით. საკრედიტო ბარათების წილი კი 2018 წლის განმავლობაშიც 10-11 პროცენტიან მაჩვენებელს ინარჩუნებდა.მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა დაცვის მეტი საშუალების მქონე საგადახდო ბარათების გამოშვების მხრივ. კომერციული ბანკები მათ მიერ გამოშვებულ მაგნიტურზოლიან ბარათებს თანდათან ანაცვლებენ ჩიპიანი ბარათებით, რაც მათი გამოყენებისას უფრო მაღალ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. 2018 წლის ბოლოს მონაცემებით საქართველოში გამოშვებული ბარათების 65 პროცენტი ჩიპიანია, ხოლო გამოშვებული ჩიპიანი ბარათების 96 პროცენტი უკონტაქტო ბარათებია. უკონტაქტო ბარათი ამცირებს საბარათე ოპერაციის დროს და გადახდის განხორციელებას ბარათის მომხმარებლისთვის უფრო კომფორტულს ხდის. ბანკები თავიანთ კლიენტებს სთავაზობენ მობილურ აპლიკაციაში ინტეგრირებულ საბანკო ბარათებს, რომლის საშუალებით გადახდა სავაჭრო ობიექტში ხორციელდება მარტივად,

NFC ტექნოლოგიის გამოყენებით. 2018 წლის მაჩვენებლებით, საქართველოში გამოშვებული ვიზა და მასტერქარდის ბარათებით შესრულებული უკონტაქტო გადახდების წილი სულ ამ ბარათებით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შესრულებულ გადახდებში, ბარათის ტიპის მიხედვით, 80-დან90 ცხრილი#5



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თანდათანობით ვითარდება ბარათების მიმღები მოწყობილობების ინფრასტრუქტურაც. გარდა ბანკომატებისა და პოს-ტერმინალებისა, ბარათებით გადახდა შესაძლებელია თვითმომსახურების კიოსკებითაც. 2018 წლის ბოლოსთვის საქართველოში ფუნქციონირებდა 2,323 ბანკომატი, 38,444 გადახდის პოს-ტერმინალი და 2,565 კიოსკი ბარათით გადახდის ფუნქციით.[31]

დიაგრამა N 9.8 საგადახდო ბარათებით შესრულებული ოპერაციების დინამიკა

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დასკვნა

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საბანკო პროდუქტი თუ მომსახურება ქმნის ერთიან ფინანსურ სისტემას რომელიც ზოგავს დროს ფულის მოძრაობისას.

ახალი ტექნოლოგიის გამოგონება ყოველთვის დაკავშირებულია ფულთან და დროსთან ,რომლებიც ურთიერთდამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე. რთულია იმ კითხვაზე პასუხის გაცემა თუ როგორ მდგომარეობაში იქნებოდა დღეს საბანკო სექტორი თანამდროვე ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე და რამდენად მაღალ საფეხურზე იქნებოდა მსოფლიო ეკონომიკა ?

პასუხი ამ კითხვაზე ისევ და ისევ ფინასურ სფეროში უნდა ვეძებოთ რადგან ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში ფინანსურ შუამავლად გვევლინება კომერციული ბანკი. ის გვთავაზობს სხვადსხვა სახის ფინასურ მომსახურებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მაგ :თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიების გამოყენებით შეუძლებელი იქნებოდა მილიონობით ფულადი ერთეულის გადარიცხვა კონტინენტებს შორის, შეუძლებელი იქნებოდა ფულის მასის მოძრაობა იმავე სისწარაფით და მოცულობით როგროც დღეს ხდება ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუძლებელი იქნებოდა მომხამრებლების მიერ საბანკო ანგარიშებიდან თანხის გატანა ნებისმიერ დროს და ასე შემდეგ. ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების შესასრულებლად კი საჭიროა ტექნოლოგიები რომლებიც საბანკო სფეროში გამოიყენება და დროთა განმავლობაში ეს ტექნოლოგიები უფრო იხვეწება. საბანკო ბარათი, ბანკომატი, პოს-ტერმინალი, ინტერნეტ-ბანკინგი, მობაილ-ბანკინგი-ეს ყველაფერი ქმნის ერთიან საგადამხდელო სისტემას რომელსაც იყენებს დღეს მთელი მსოფლიო. ესეც აღსანიშნავია რომ IT ტექნოლოგიის გამოყენებამ საბანკო სფეროში ხელი შეუწყო ტრადიცული ფულის ჩანაცვლებას ვირტუალური ფულით. ასეთი ტენდენციების განვითარებამ ხელი შეუწყო რომ საბანკო სფეროში უნდა დანერგილიყო ახალი ტექნოლოგიები. ფინანსურ სფეროში შეინიშნება მომავლის განვითარების ტენდენცია რაც გულისხმობს უნივერსალური ბანკის

ანუ „ მომამვლის ბანკის „ შექმნას. რთული სათქმელი იქნება თუ რა დონეზე იქნება საბანკო ტექნოლოგიები განვითარებული 10წლის შემდეგ და რა ფინასურ სარგებელს მოუტანს მსოფლიო ეკონომკას.

გამოყენებული ლიტერატურა

, 1. https://www.banki.ru/wikibank/istoriya_bankovskogo_dela/ საბანკო ისტორიის დასაწყისი

2 https://ru.wikipedia.org/wiki/Monte_dei_Paschi_di_Siena

3.https://ru.wikipedia.org/wiki/Berenberg_Bank

4. http://foreignbanks.ru/evropa/sveriges-riksbank.html

5. https://en.wikipedia.org/wiki/C._Hoare_%26_Co

6 https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A6%D0%B5%D0%BD%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA#%D0%9F%D1%80%D0%BE%D0%B8%D1%81%D1%85%D0%BE%D0%B6%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5_%D0%B2%D1%8B%D1%80%D0%B0%D0%B6%D0%B5%D0%BD%D0%B8%D1%8F_%C2%AB%D1%86%D0%B5%D0%BD%D1%82%D1%80%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA%C2%BB-ცენტრალური ბანკები ისტორია

7, https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%A8%D0%B2%D0%B5%D1%86%D0%B8%D0%B8 შვედეთის ბანკი

8, https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%90%D0%BD%D0%B3%D0%BB%D0%B8%D0%B8 ინგლისის ბანკი.

9. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%98%D1%81%D0%BF%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B8 ესპანეთის ბანკი

10. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%A4%D1%80%D0%B0%D0%BD%D1%86%D0%B8%D0%B8 საფრანგეთის ბანკი

11. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%A4%D0%B8%D0%BD%D0%BB%D1%8F%D0%BD%D0%B4%D0%B8%D0%B8 ფინეთის ბანკი

12. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%BE%D1%80%D0%B2%D0%B5%D0%B6%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA ნორვეგიის ბანკი

13.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%94%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B8 დანიის ბანკი

14.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%B5%D1%80%D0%B2%D1%8B%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%A1%D0%BE%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D1%91%D0%BD%D0%BD%D1%8B%D1%85_%D0%A8%D1%82%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%B2 ამერიკის პირველი ბანკი

15.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D1%82%D0%BE%D1%80%D0%BE%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%A1%D0%BE%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D1%91%D0%BD%D0%BD%D1%8B%D1%85_%D0%A8%D1%82%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%B2 ამერიკის მეორე ბანკი

16.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D0%BA%D0%BE%D0%B2%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%BF%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%BA%D0%B0_1907_%D0%B3%D0%BE%D0%B4%D0%B0 1907 წლის პანიკა

17.https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A4%D0%B5%D0%B4%D0%B5%D1%80%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D1%80%D0%B5%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B2%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D1%81%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%B0 ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა

18.საქართველოს საბანკო ისტორიის დასაწყისი--- საბანკო საქმე----მოსიაშვილი..ქოქოსაძე და ლომიძე.

19.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98 საქართველოს ეროვნული ბანკი

20. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98 ფული

21.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90 ფულის ისტორია

22. https://traders-union.ru/profianalitics/kogda-poyavilis-kredity/ კრედიტის ისტორია

13.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%BE%D0%BD%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%94%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%B8 დანიის ბანკი

14.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9F%D0%B5%D1%80%D0%B2%D1%8B%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%A1%D0%BE%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D1%91%D0%BD%D0%BD%D1%8B%D1%85_%D0%A8%D1%82%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%B2 ამერიკის პირველი ბანკი

15.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%92%D1%82%D0%BE%D1%80%D0%BE%D0%B9_%D0%B1%D0%B0%D0%BD%D0%BA_%D0%A1%D0%BE%D0%B5%D0%B4%D0%B8%D0%BD%D1%91%D0%BD%D0%BD%D1%8B%D1%85_%D0%A8%D1%82%D0%B0%D1%82%D0%BE%D0%B2 ამერიკის მეორე ბანკი

16.
https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%91%D0%B0%D0%BD%D0%BA%D0%BE%D0%B2%D1%81%D0%BA%D0%B0%D1%8F_%D0%BF%D0%B0%D0%BD%D0%B8%D0%BA%D0%B0_1907_%D0%B3%D0%BE%D0%B4%D0%B0 1907 წლის პანიკა

17.https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A4%D0%B5%D0%B4%D0%B5%D1%80%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D1%80%D0%B5%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B2%D0%BD%D0%B0%D1%8F_%D1%81%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%B0 ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა

18.საქართველოს საბანკო ისტორიის დასაწყისი--- საბანკო საქმე----მოსიაშვილი..ქოქოსაძე და ლომიძე.

19.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%98 საქართველოს ეროვნული ბანკი

20. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98 ფული

21.
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90 ფულის ისტორია

22. https://traders-union.ru/profianalitics/kogda-poyavilis-kredity/ კრედიტის ისტორია